

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილების
დანართი 1

*(კოდიფიცირებული ცვლილებებით/ დამატებით :
30.11.2017, N115; 29.12.2017, N128 ; 11.10.2018, N112 ;
27.12.2018, N147; 25.10.2019, N116; 06.08.2020, N06-01/47 და
01.02.2024, N06-01/11)*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის
დებულება**

მუხლი 1. მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“)
მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდგომში „მიზნობრივი
პროექტი“) დასაფინანსებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესს.

მუხლი 2. პროექტის მიზანი

1. პროექტის მიზანია:

ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და
ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება;

ბ) უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო
პოტენციალის ზრდა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. მიზნობრივი პროექტის შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით
ცხადდება კონკურსი. *(ცვლილება - 29.12.2017 ; N128)*

1¹. ბსუ-ს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაზრდისა და ბსუ-ს ბიუჯეტიდან
დაფინანსების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის, მიზნობრივი პროექტის შესარჩევი
კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეიზღუდოს
გასული წლის გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის (მენეჯერის/სამეცნიერო
ხელმძღვანელის) მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა, რაც არ გამორიცხავს ბსუ-ს
სხვა მიზნობრივ პროექტში შემსრულებლის სახით მის მონაწილეობას. *(დამატება -
27.12.2018; N147)*

2. კონკურსის გამოცხადების სამართლებრივ აქტში მიეთითება *(ცვლილება - 29.12.2017 ;
N128)*

ა) დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებები, მათ შორის
ახალგაზრდა მკვლევართა (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა
კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო შვიდი წლის პერიოდში) კვლევის
მიმართულება;

ბ) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

გ) კონკურსის ვადები;

დ) მიზნობრივი პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი, თითოეული პროექტის
დაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, მათ შორის ახალგაზრდა
მკვლევართათვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა;

ე) მიზნობრივი პროექტების განხორციელების ვადები;

ვ) სხვა საკონკურსო პირობები, წინამდებარე დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

2¹. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს
პრიორიტეტული მიმართულება ან/და საკონკურსო განაცხადის არარსებობის (არ
შემოტანის) შემთხვევაში, დაფინანსების (ბიუჯეტის) სხვა მიმართულებაზე
გადანაწილების შესახებ. *(დამატება - -29.12.2017 ; N128)*

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს კონკურსის
გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმების და ფორმატის

(მატერიალური ან/და ელექტრონული სახით) შესაბამისად: *(ცვლილება - 30.11.2017, N115; 01.02.2024, 06-01/11)*

- ა) საპროექტო განაცხადი;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა და გეგმა-გრაფიკი;
- გ) მიზნობრივი პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი, თითოეული პროექტის დაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართათვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა;
- დ) მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე თანხმობის წერილი;
- ე) პროექტის მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები;
- ვ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი (პროექტში ჩართული ბსუ-ს სტუდენტისათვის).

3¹. ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობაში მიეთითება:
(დამატება - 01.02.2024, 06-01/11)

- ა) პროექტის სახელწოდება;
- ბ) პროექტის ხანგრძლივობა;
- გ) **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).
- დ) **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).
- ე) **კვლევის შედეგები და განვითარების პერსპექტივა** - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე (მიმღები - ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური) და მხოლოდ აღნიშნული მოქმედების შემდეგ მატერიალური სახით, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით. *(ცვლილება - 25.10.2019; N116)*

5. კონკურსანტების მიერ ელექტრონული და მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო კომისიას, რაზედაც შედგება მიღება-ჩაბარების აქტი. *(ცვლილება - 25.10.2019; N116)*

6. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება განხილვას არ ექვემდებარება.

მუხლი 4. პროექტის პერსონალი

1. პროექტის პერსონალის შემადგენლობიდან: *(ცვლილება - 29.12.2017 ; N128)*
- ა) პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, ბსუ-ს აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი ან ბსუ-ს ემერიტუსი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელი იქნება პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის ეფექტურ მართვაზე და ადმინისტრირებაზე. პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) შეიძლება იყოს **ახალგაზრდა მკვლევარი** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო შვიდი წლის პერიოდში და მუშაობს უნივერსიტეტში); *(ცვლილება - 01.02.2024, 06-01/11)*
 - ბ) ძირითადი პერსონალი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტში დასაქმებული პირი ან უნივერსიტეტის ემერიტუსი (აუცილებელი და დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია სხვა პირის (სპეციალისტის) მოწვევა). ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის დოქტორანტი;

გ) ახალგაზრდა მკვლევარის კონსულტანტი (ამ მიმართულებით კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც განიხილება ძირითადი პერსონალის შემადგენლობაში და რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას კვლევის განხორციელების პროცესში.

დ) დამხმარე პერსონალი უნდა იყოს ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც დაეხმარებიან პროექტის ძირითად პერსონალს წამოჭრილი ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. ახალგაზრდა მკვლევართათვის კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება ჩართულ იქნეს არაუმეტეს ორი მაგისტრანტი ან/და დოქტორანტი. *(ცვლილება - 25.10.2019; N116)*

2. თითოეულ პროექტში სავალდებულოა ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობა (უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მე-4, მე-5 ან მე-6 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი). ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემთხვევაში, სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან (მიმართულებიდან) არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა. *(ცვლილება - 30.11.2017, N115; 27.12.2018, N147)*

2¹. პროექტში შესაძლებელია ბსუ-ს იმ სტუდენტის მონაწილეობა, რომელსაც წინა სემესტრების სასწავლო კურსებში მიღებული აქვს 71 ქულა და მეტი (საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა: *(დამატება - 27.12.2018, N147)*

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \dots}{A^1 + A^2 \dots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა.);

3. პროექტს ჰყავს ხელმძღვანელი (პროექტის მენეჯერი), რომელიც შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს პერსონალის წარმომადგენელი. მენეჯერი პასუხისმგებელია ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე.

4. ერთი და იგივე პირი (პერსონალი, ემერიტუსიან სტუდენტი) არ შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს უნივერსიტეტის რამდენიმე მიზნობრივ პროექტში. იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ამ პირის სხვადასხვა პროექტში ჩართვის თაობაზე თანხმობა და საბოლოოდ იგი აღმოჩნდება ერთზე მეტი გამარჯვებული პროექტის მონაწილე, მისივე განცხადებით (წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე) განისაზღვრება ის ერთი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იგი მიაჩნებს უპირატესობას და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

5. მენეჯერი იმ პროექტისა, რომელშიც მონაწილეობაზე მოგვიანებით უარი განაცხადა მონაწილემ ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული საფუძვლით, უფლებამოსილია წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სხვა მონაწილის კანდიდატურა რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მათი კომპეტენციის შესაბამისად). ახალი კანდიდატურის დასაქმებაზე თანხმობის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

6. პროექტის შესრულების ვადის გასვლამდე პროექტის თავდაპირველ მონაწილესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით ხდება პროექტის ახალ მონაწილესთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. გადაწყვეტილებას პროექტის შერჩევის შესახებ იღებს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია.
2. კომისიები იქმნება ცალ-ცალკე მიმართულების მიხედვით, რომლებიც განიხილავენ შესაბამისი მიმართულებიდან წარმოდგენილ პროექტებს.
3. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი:
 - ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;
 - ბ) რომელსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში აქვს საერთო პუბლიკაცია კონკურსსანტთან ან პირი, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში კონკურსსანტთან ერთად მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტში *(ცვლილება - 25.10.2019, N116; 01.02.2024, 06-01/11)*
 - გ) რომელიც არის პროექტში მონაწილე პირის ნათესავი (პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია რექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებებისა და თვით აცილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის (ექსპერტის) ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ცნობილი გახდება შერჩეული პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს ამ კომისიის წევრის შეფასების გაუქმებაზე.

მუხლი 6. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით და კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დებულებას და კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის სამართლებრივ აქტს.
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრისა. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხდომები გაიმართოს, როგორც პირისპირ, ასევე შერეული ფორმატით ან დისტანციურად. თოთოეული სხდომის შესახებ დება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. *(ცვლილება - 01.02.2024, 06-01/11)*
4. კომისია წარმოდგენილ პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კვლევის აქტუალურობა და სიახლე; რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზნები; განსახორციელებელი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა; რამდენად უზრუნველყოფს პროექტში ჩართული პერსონალის პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია პროექტით დასახული კვლევის ეფექტიანად წარმართვას; რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დრო, ადამიანური, ტექნიკური რესურსების გამოყენება.
- 5¹. კომისია ვალდებულია გამარჯვებული პროექტის გამოვლენამდე, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად შეფასებული პროექტების ხელმძღვანელები მოიწვიოს სხდომაზე, მათი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტის პრეზენტაციის წარმოსადგენად, კომისიის წევრების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ასევე განუსაზღვროს მათ ვადა ტექნიკური ხარვეზის აღმოსაფხვრელად (მაგ: ბიუჯეტის გამოთვლით ნაწილში ან სხვა, არაარსებითი ხარვეზი). *(დამატება - 30.11.2017; N115)* *(ცვლილება - 01.02.2024, 06-01/11)*
5. გადაწყვეტილება პროექტის (პროექტების) შერჩევის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრის გზით. ყოველ პროექტს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად და კომისიის თითოეული წევრი (ექსპერტი) ხმას აძლევს თითოეულ პროექტს. გამარჯვებულად გამოცხადდება და დაფინანსდება ის პროექტი, რომელიც დააგროვებს კომისიის წევრების ხმების უმრავლესობას.

6. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გამარჯვებული პროექტის დაფინანსების შესახებ.

7. კომისია ვალდებულია საკონკურსო მასალების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო მომდევნო 2 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

8. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებული პროექტის შესახებ;

ბ) დასაბუთებული დადგენილებით არ დაამტკიცოს საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებული პროექტის შესახებ;

მუხლი 7. პროექტის ადმინისტრირება და შესრულების მონიტორინგი

1. პროექტის ადმინისტრირება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ, რაც გულისხმობს შემდეგი სახის პროცედურებს:

ა) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში კონკურსის გამოცხადებას, ჩატარებას და გამარჯვებული (დასაფინანსებელი) პროექტის გამოვლენას;

ბ) გამარჯვებული პროექტის პერსონალთან შესაბამისი ხელშეკრულებების (ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით) გაფორმებას და დაფინანსებას პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში;

გ) პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგსა და პროექტის შესრულების შესახებ ანგარიშების (შედგენილი რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად) დამტკიცებას.

დ) პროექტის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენის მონიტორინგს.

2. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობისა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს აკადემიური საბჭო (აკადემიური/სამეცნიერო მიმართულებით) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (ფინანსური მიმართულებით). აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) ვალდებულია შესაბამისი პროექტის განხორციელების დაწყებიდან ნახევარი ეტაპის გასვლის შემდეგ (ხოლო თუკი პროექტის ხანგრძლივობა გადააჭარბებს 12 თვეს, ყოველი 6 თვის გასვლის შემდეგ), ასევე პროექტის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული საბოლოო ვადის ამოწურვისთანავე, წარუდგინოს ანგარიშები: *(ცვლილება - 06.08.2020 ; N06-01/47)*

ა) აკადემიურ საბჭოს - პროგრამული ანგარიში;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - ფინანსური ანგარიში.

3. პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) ვალდებულია პროექტის დასრულებიდან **ერთი წლის განმავლობაში** უზრუნველყოს დასრულებული პროექტის შედეგების გამოქვეყნება Web of Science, Scopus ან Erih Plus (ჰუმანიტარული მიმართულებით) მეტრიკულ ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში (პუბლიკაციის გამოქვეყნებისას მითითებული უნდა იყოს, რომ პროექტი/კვლევა დაფინანსდა ბსუ-ს მიერ).

(ცვლილება - 27.12.2018, N147; 06.08.2020, N06-01/47; 01.02.2024, 06-01/11)

3¹. პროექტის დასრულებიდან **ერთი წლის** შემდეგ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ წერილობითი ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელმა **პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა** უნდა წარუდგინოს რექტორს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები განსახილველად გადაეცემა ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს. *(დამატება - 27.12.2018, N147; ცვლილება - 06.08.2020 ; N06-01/47; 01.02.2024, 06-01/11)*

4. მონიტორინგის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში აკადემიური საბჭო/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

5. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია პროექტის პროგრამული ანგარიშის განხილვის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების (ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით) საფუძველზე:

- ა) შეაჩეროს პროექტის მიმდინარეობა და განუსაზღვროს პროექტის მენეჯერს ვადა არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით;
- ბ) შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება, რაც იწვევს პროექტის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების შეწყვეტას და ავანსად მიღებული თანხის უკან დაბრუნების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემას.
- გ) წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში წარდგინებით მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიზნობრივი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ პროექტის ბიუჯეტიდან მიღებული შრომის ანაზღაურების 40%-ის ბსუ-ს ანგარიშზე დაბრუნების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. *(დამატება - 27.12.2018, N147)*

6. წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში ბსუ-ს მიზნობრივი პროექტთან დაკავშირებით სტატიის გამოქვეყნების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშების და წერილობითი ინფორმაციის (მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის) საფუძველზე ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ამ პროექტის ფარგლებში მიღებული შრომის ანაზღაურების **სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების თაობაზე** ან/და მომდევნო **1 ან 2 წლის განმავლობაში** ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით მისაღები შეღავათების გაცემაზე შეზღუდვის შესახებ (პროფესიული განვითარების ღონისძიება ან სტატიის გამოქვეყნებაზე წახალისების ღონისძიება და სხვა). *(დამატება- 01.02.2024, 06-01/11)*

მუხლი 8. პროექტის ხანგრძლივობა და დაფინანსება

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების მაქსიმალური ვადა არის **2 წელი**. წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ფორსმაჟორი) პროექტის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. *(ცვლილება - 06.08.2020 , N06-01/47; 01.02.2024, 06-01/11)*

2. პროექტის პერსონალის მიერ გაწეული სამუშაო ანაზღაურებადია. გასაცემი შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.

3. პროექტის ფარგლებში შემენილი ქონება რჩება უნივერსიტეტის საკუთრებაში.

4. პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი (აქტები) ამ დებულების აღსრულების მიზნით.

5. დასაშვებია პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) განხორციელდეს ცვლილება. განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში და უნდა იყოს თავსებადი შესაბამისი პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველთან. *(დამატება - 11.10. 2018 ; 112)*

6. პროექტის სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცემა: *(დამატება - 11.10. 2018 ; 112)*

ა) მხოლოდ სამოქმედო გეგმის ცვლილების შემთხვევაში - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით;

ბ) პროექტის სამოქმედო გეგმაში და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ვიზირებული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით;

გ) მხოლოდ პროექტის ხარჯთაღრიცხვაში პროექტის საერთო ბიუჯეტის არაუმეტეს **15%-ის** ფარგლებში ცვლილების შემთხვევაში - რექტორთან შეთანხმებით გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. *(ცვლილება - 01.02.2024, 06-01/11)*

7. პროექტის გეგმა-გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში შესასრულებელი აქტივობის ვადა (გარდა საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში სტატიის

დასაბეჭდად მიღების ან გამოქვეყნებისა) არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კალენდარული წლის 15 დეკემბერს, ხოლო პროექტის ბიუჯეტის ცვლილება არ უნდა იწვევდეს ბიუჯეტის გაზრდას ან/და წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევას. *(დამატება - 27.12.2018; N147; ცვლილება - 25.10.2019; N116)*

8. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (მათ შორის ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ან პანდემიის პირობებში), რაც აფერხებს შესაბამისი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დადგენილ ვადებში ან/და ადგილზე შესრულებას, **შესაძლებელია პროექტის შესრულების ვადა გახანგრძლივდეს**. ასეთ შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელის (მენეჯერის) დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე (რომელსაც რექტორის მოადგილესთან კოორდინირებული მუშაობით განიხილავს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური) გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება შესაბამისი პროექტის სამოქმედო გეგმაში და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. *(დამატება - 06.08.2020 ; N06-01/47)*

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები *(დამატება - 01.02.2024, 06-01/11)*

აკადემიური საბჭოს დადგენილებით დასაშვებია **2024 წლის განმავლობაში** გაგრძელდეს **2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი საუნივერსიტეტო პროექტის განხორციელება**, პროექტის განახლებული ბიუჯეტის (დარჩენილი/გაუხარჯავი ნაშთის) და პროექტის განახლებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, პროექტების ხელმძღვანელის და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.